საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 236

20 12 წ. " 8 " 08.

ქ. თბილისი

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,იბერიასთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,იბერიას" (საიდენტიფიკაციო კოდი: 212682051) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	ავტომობილის დიაგნოსტიკოსი	II	ავტომობილის დიაგნოსტიკოსის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
2.	ავტომობილის დიაგნოსტიკოსი	III	ავტომობილის დიაგნოსტიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30

3.	სტილისტი	III	სტილისტ-პარიკმახერის /ქალი, მამაკაცი/ მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45
4.	გაზმომარაგების სისტემის მემონტაჟე	I	გაზმომარაგების სისტემის მემონტაჟის პირველი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	20
5.	გაზმომარაგების სისტემის მემონტაჟე	II	გაზმომარაგების სისტემის მემონტაჟის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	20
6.	გაზმომარაგების სისტემის მემონტაჟე	III	გაზმომარაგების სისტემის მემონტაჟის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.	30

2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 7-8 აგვისტოს №18 სხდომის ოქმის მე-12 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
კახი ყურაშვილი

მდივანი
ლალი ღოღელიანი